

ტესტი სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში

2015

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ბუკლეტი და ამ ტესტის პასუხების ფურცელი.

გაითვალისწინეთ, გასწორდება მხოლოდ პასუხების ფურცელი!
პასუხების ფურცლის გაკეცვა დაუშვებელია!
ტესტის ბუკლეტი გამოიყენეთ მხოლოდ შავი სამუშაოსთვის!

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტესტი შედგება სამი ნაწილისგან: I. დახურული კითხვები; II. "წინადადების შევსება", „ჭეშმარიტია-მცდარია“, შესაბამისობა; III. ღია კითხვები.

ტესტის I ნაწილში მოცემული დავალებების (№1-25) და ასევე II ნაწილის № 38 დავალების შესასრულებლად საჭიროა პასუხების ფურცელზე შესაბამისი უჯრედები მონიშნოთ X-ით. თუ პასუხების ფურცელზე უჯრედი შეცდომით მონიშნეთ, მაშინ უჯრედი მთლიანად გააშავეთ და მონიშნეთ სხვა უჯრედი.

დანარჩენ დავალებებს უნდა უპასუხოთ სიტყვიერად. პასუხების ფურცელზე დაშვებული შეცდომა შეგიძლიათ გადახაზოთ და გვერდით (ან ზემოთ) მიუწეროთ სხვა პასუხი. წერეთ გარკვევით. ღია დავალებების პასუხები საგანგებოდ ამ დავალებისათვის გამოყოფილ მონაკვეთზე განათავსეთ.

ტესტის ყოველი ნაწილის შესასრულებლად აუცილებელი ინსტრუქციები მოცემულია ბუკლეტში და თან ახლავს შესაბამის დავალებებს. ყურადღებით გაეცანით ინსტრუქციებს და არ დაგავიწყდეთ პასუხების გადატანა პასუხების ფურცელზე!

არსად მიუთითოთ თქვენი სახელი და გვარი და არც პიროვნების იდენტიფიცირების სხვა საშუალება. წინააღმდეგ შემთხვევაში ნაშრომი არ გასწორდება!

პასუხების ფურცლის შევსება დასაშვებია მხოლოდ გელიანი კალმით;
პასუხების ფურცელი, რომლის შევსებისას გამოყენებული იქნება სხვა კალამი, არ გასწორდება!

ტესტის მაქსიმალური ქულაა - 70.

ტესტის შესასრულებლად გეძლევათ – 3 საათი 30 წუთი

გისურვებთ წარმატებას!




1-24 დავალების ინსტრუქცია:

ოთხი სავარაუდო პასუხიდან (ა, ბ, გ, დ) აირჩიეთ ერთი.

პასუხების ფურცელზე სწორი პასუხის შესაბამისი უჯრა მონიშნეთ X-ით.

საილუსტრაციო მასალა დახურული კითხვებისთვის №№1-8



1. სურათზე წარმოდგენილი ნაგებობა მდებარეობს

- ა. ოლიმპიაში;
- ბ. ათენში;
- გ. კუნძულ ეგინაზე;
- დ. ეფესოში.

2. რა დანიშნულების მქონე არქიტექტურული ნაგებობაა წარმოდგენილი სურათზე?

- ა. საფორტიფიკაციო;
- ბ. საკულტო;
- გ. მემორიალური;
- დ. ადმინისტრაციული.

3. რომელ არქიტექტურულ ტიპს წარმოადგენს ნაგებობა?

- ა. ბაზილიკა;
- ბ. როტონდა;
- გ. პერიფტერი;
- დ. ანტეზიანი ტაძარი.

4. რომელი არქიტექტურული ელემენტი განსაზღვრავს წარმოდგენილი ნაგებობის არქიტექტურულ ტიპს?

- ა. სამსაფეხურიანი სტერეობატი (კვარცხლბეკი);
- ბ. სვეტების თითო რიგი ოთხივე ფასადზე;
- გ. ფრიზის დანაწევრებული ფორმა;
- დ. სვეტების რაოდენობის შეფარდება განივ და გრძივ ფასადებზე.

5. რომელი ორდერული სისტემაა გამოყენებული ნაგებობის ასაგებად?

- ა. იონიური;
- ბ. დორიული;
- გ. კორინთული;
- დ. ტოსკანური.

6. რომელი მხატვრული ელემენტი არ განსაზღვრავს წარმოდგენილი ორდერული სისტემის თავისებურებას?

- ა. ფრიზის დანაწევრებული ფორმა;
- ბ. ვერტიკალური ღარები სვეტის ზედაპირზე;
- გ. ვოლუტებიანი სვეტისთავი (კაპიტელი);
- დ. სვეტს არ გააჩნია ბაზისი.

7. რომელი ცნობილი ბერძენი მოქანდაკე ხელმძღვანელობდა ნაგებობის მშენებლობას?

- ა. მირონი;
- ბ. პოლიკლეტოსი;
- გ. სკოპასი;
- დ. ფიდიასი.

8. რა ნიშნით გამოირჩევა წარმოდგენილი არქიტექტურული ნაგებობა?

- ა. არქიტექტურული ნაწილებისა და დეკორატიული მორთულობის ჰარმონიული შეფარდებითა და წონასწორობით;
- ბ. მასიურ სვეტებსა და საზიდ კონსტრუქციებს შორის დარღვეული პროპორციებით;
- გ. გადაჭარბებული დეკორატიული მორთულობით;
- დ. არქიტექტურული დეტალებისა და დეკორატიული ელემენტების კოლოსალური ზომებით.

საილუსტრაციო მასალა დახურული კითხვებისთვის №№ 9-14



9. ხელოვნების რომელი დარგის ნიმუშია წარმოდგენილი ფოტოზე?

- ა. რელიეფი;
- ბ. მონუმენტური ქანდაკება;
- გ. კამერული ქანდაკება;
- დ. უშეხტი.

10. რა მასალაშია შესრულებული ფოტოზე წარმოდგენილი ხელოვნების ნიმუში?

- ა. მარმარილო;
- ბ. ხე;
- გ. ბრინჯაო;
- დ. თიხა.

11. სტილური თვალსაზრისით რომელი მხატვრული თავისებურება არ არის დამახასიათებელი წარმოდგენილი ხელოვნების ნიმუშისათვის?

- ა. ანატომიის ცოდნის საფუძველზე აგებული ფიგურების უტრირებული და ექსპრესიული ფორმები;
- ბ. მძაფრი დრამატიზმი, შექმნილი ფიგურათა ჟესტებითა და მათი სახეების სულიერი დამაბულობით აღსავსე გამომეტყველებით;
- გ. ფიგურათა ზედაპირის გლუვი ფაქტურა, რაც შუქ-ჩრდილის თანაბარ მონაცვლეობას ქმნის;
- დ. კომპოზიციის დინამიზმი, შექმნილი ფიგურების მოძრავი და სტატიკური პოზების ურთიერთდაპირისპირებით.

12. წარმოდგენილი ხელოვნების ნიმუშის ავტორია:

- ა. მიქელანჯელო;
- ბ. ანტონიო კანოვა;
- გ. ოგიუსტ როდენი;
- დ. ლორენცო ბერნინი.

13. ხელოვნების რომელი ჟანრის ნიმუშია წარმოდგენილი ფოტოზე?

- ა. ყოფითი;
- ბ. პორტრეტი;
- გ. რელიგიური;
- დ. ისტორიული.

14. რომელი განმარტება არ შეესაბამება წარმოდგელი ხელოვნების ნიმუშის დანიშნულებას?

- ა. დეკორატიული;
- ბ. მემორიალურ-სიმბოლური;
- გ. შემეცნებითი;
- დ. საკულტო-რიტუალური.



15. ხელოვნების რომელი დარგის ნიმუშია წარმოდგენილი ფოტოზე?

- ა. დაზგური გრაფიკა;
- ბ. დაზგური ფერწერა;
- გ. ფრესკა;
- დ. ბეჭდვითი გრაფიკა.

16. რა მასალაა გამოყენებული წარმოდგენილი ხელოვნების ნიმუშის შესაქმნელად?

- ა. ტილო და ზეთის საღებავები;
- ბ. მუშამბა და ზეთის საღებავები;
- გ. ქაღალდი და აკვარელის საღებავები;
- დ. ბათქაში და ტემპერის საღებავები.

17. ხელოვნების რომელი ჟანრის ნიმუშია წარმოდგენილი ფოტოზე?

- ა. ყოფითი ჟანრი;
- ბ. მითოლოგიური ჟანრი;
- გ. ანიმალისტური ჟანრი;
- დ. პეიზაჟი.

18. რომელი მხატვრული თავისებურება არ არის დამახასიათებელი წარმოდგენილი ხელოვნების ნიმუშისთვის?

- ა. კომპოზიციური წყობის ფრონტალური ხასიათი;
- ბ. კომპოზიციის რეპრეზენტატიული (სადღესასწაულო) ხასიათი;
- გ. მხატვრული სახის მონუმენტური ხასიათი;
- დ. ნატურალისტური სიზუსტით გადმოცემული ძირითადი ფორმები და მეორეხარისხოვანი დეტალები.

19. ჩამოთვლილთაგან რომელი განმარტება შეესაბამება წარმოდგენილი ხელოვნების ნიმუშის ფერადოვან გადაწყვეტას?

- ა. მომწვანო-მოყავისფრო კოლორიტის თავშეკავებული ხასიათი;
- ბ. მოშავო-მოვერცხლისფრო ტონების მეტყველი ხასიათი;
- გ. ლურჯის, ვერცხლისფრის, შავისა და მწვანეს ჰარმონიული ურთიერთკავშირი;
- დ. ჟღერადი, მკვეთრი ლაქების ექსპრესიული დაპირისპირება.

20. მხატვრული თავისებურებებით სახვითი ხელოვნების რომელ ფორმასთან ამჟღავნებს კავშირს წარმოდგენილი გამოსახულება?


- ა. შუა საუკუნეების ქართულ მონუმენტურ მხატვრობასთან;
- ბ. რენესანსის ეპოქის დაზგურ მხატვრობასთან;
- გ. შუა საუკუნეების ქართულ მინიატურასთან;
- დ. XIX საუკუნის ქართველი რეალისტი მხატვრების შემოქმედებასთან.

საილუსტრაციო მასალა დახურული კითხვებისთვის №№ 21-24

1.



2.



21. რომელი არქიტექტურული ტიპის ნაგებობაა წარმოდგენილი პირველ სურათზე?

- ა. ბაზილიკური;
- ბ. ჯვარ-გუმბათოვანი;
- გ. დარბაზული;
- დ. გუმბათიანი დარბაზი.

22. რომელი მხატვრული ელემენტია საერთო ორივე არქიტექტურული ნაგებობის გაფორმების დეკორატიულ სისტემაში?

- ა. ფიგურული რელიეფები;
- ბ. მრავალფეროვანი ორნამენტული მორთულობა;
- გ. ფასადების გაფორმება უწყვეტი თაღებით;
- დ. სიმეტრიულად განლაგებული ღრმა ნიშები აღმოსავლეთ ფასადზე.

23. რა არ არის დამახასიათებელი მეორე სურათზე წარმოდგენილი ნაგებობისთვის?

- ა. აღმოსავლეთ ფასადის გაფორმების თავისებურება - ცენტრში დიდი ჯვრითა და სარკმლის ქვეშ განლაგებული შეწყვილებული რომბებით;
- ბ. აღმოსავლეთ ფასადის გაფორმება ხუთთაღოვანი სისტემით;
- გ. გეგმაში ოთხკუთხედში ჩაწერილი ჯვრის ფორმის მქონე არქიტექტურული ნაგებობა;
- დ. გვერდითა ნაგებთან შედარებით ტაძრის საგრძნობლად მაღალი და განიერი ცენტრალური ნაგი, გადახურული ორქანობა სახურავით.

24. განსხვავებული არქიტექტურული ფორმის მიუხედავად, შესაძლებელია თუ არა, რომ ფოტოზე წარმოდგენილი ორივე არქიტექტურული ნიმუში ერთი და იგივე დანიშნულების მქონე ნაგებობას წარმოადგენდეს?

- ა. შესაძლებელია, რადგან შუა საუკუნეების ქართულ ქრისტიანულ არქიტექტურაში ორივე ტიპის ტაძარი იყო გავრცელებული;
- ბ. შეუძლებელია, რადგან პირველ სურათზე გამოსახული ნაგებობა საერო, ხოლო მეორე სურათზე წარმოდგენილი ნაგებობა კი საკულტო ხასიათისაა;
- გ. შესაძლებელია, რადგან ზოგადად არქიტექტურული ნაგებობის ფუნქციასა და მის ფორმას შორის არანაირი კავშირი არ არსებობს;
- დ. შეუძლებელია, რადგან წარმოდგენილი არქიტექტურული ნაგებობები სხვადასხვა კულტურის ნიმუშია, რაც არქიტექტურული კონსტრუქციისა და დეკორატიული სისტემის გააზრებაში ვლინდება.

დავალება 25-29. წინადადების შევსება

ინსტრუქცია: დავალებებში მოცემულია წინადადებები, რომლებშიც სიტყვებია გამოტოვებული. ცარიელი ადგილები წინადადებაში ხაზებითაა აღნიშნული. წინადადება სიტყვებით ისე უნდა შეივსოს, რომ აზრობრივად გამართული, ჭეშმარიტი მტკიცებულება მივიღოთ.

ნიმუში:

ერთი და იგივე გამოსახულების რიტმული განმეორება ოპნაქნცს ქმნის.

25. მრავალსაფეხურიან საკულტო დანიშნულების ნაგებობას ძველ შუამდინარეთში _____ ეწოდება.

26. ხელნაწერი წიგნების გასაფორმებლად ხელით შექმნილ პატარა ფერად სურათს _____ ეწოდება.

27. სურათზე სივრცის ილუზიის შესაქმნელად მხატვრებმა _____ კანონები გამოიგონეს.

28. მხატვრობაში _____ მოცულობითი ფორმის შექმნის ერთ-ერთი მხატვრული საშუალებაა.

29. ერთი პიროვნების ან ადამიანთა ჯგუფის გამოსახულებას, რომელშიც ძირითადი ყურადღება მათ გარეგნულ, სახასიათო, ინდივიდუალურ ნიშნებზეა გამახვილებული _____ ეწოდება.

დავალება 30- 37. „ჭემმარიტია-მცდარია“

ინსტრუქცია: შეაფასეთ ჭემმარიტია თუ მცდარი მოცემული მტკიცებულება. და მონიშნეთ შესაბამისი უჯრა. თუ მიიჩნევთ, რომ მტკიცებულება მცდარია **საგანგებოდ გამოყოფილ არეში ჩაწერეთ მცდარად შეფასებული მტკიცებულების სწორი ფორმულირება. მხოლოდ მცდარის შესაბამისი უჯრის მონიშვნის შემთხვევაში პასუხი სწორად არ ჩაითვლება.**

შენიშვნა: თუ ფიქრობთ, რომ ფორმულირება მცდარია და თვლით, რომ მტკიცებულებაში მოცემული განმარტება თავისთავად სწორადაა ჩამოყალიბებული, თუმცა მოცემული ტერმინის ან/და სიტყვის ახსნას არ წარმოადგენს, მაშინ განმარტება უცვლელი დატოვეთ და იმავე განმარტებისთვის მოძებნეთ და მიუსადაგეთ შესაბამისი ტერმინი ან/და სიტყვა.

30. დეკუპაჟი ფერადი ქალაქისგან სასურველი ფორმის მარტივი გამოსახულების გამოჭრისა და დაწებების მხატვრული ტექნიკაა.

ჭემმარიტია მცდარია



31. მხატვრული მეთოდი პლენერი დახურულ სივრცეში ხატვას ნიშნავს.

ჭემმარიტია მცდარია



32. რეალიზმი უარყოფს ფორმას.

ჭემმარიტია მცდარია



33. იმპრესიონიზმი გადმოსცემს ადამიანის სულიერ მდგომარეობას, გრძნობებს, განცდებს.

ჭემმარიტია მცდარია



34. კინო და თეატრი ხელოვნების სინთეზური დარგებია.

ჭემმარიტია მცდარია



35. ესკიზი სურათის, სკულპტურის, არქიტექტურული პროექტის წინასწარი მონახაზია.

ჭეშმარიტია

მცდარია



36. ბალანსი, რიტმი, დინამიკა და მთლიანობა სახვითი ხელოვნების პრინციპებია.

ჭეშმარიტია

მცდარია



37. ცივია ყველა ის ფერი, რომელიც თეთრი საღებავის შერევით მიიღება.


ჭეშმარიტია

მცდარია



დავალება 38. დაადგინეთ შესაბამისობა

ინსტრუქცია - წარმოდგენილი გრაფიკული სურათის შესაქმნელად გამოყენებულია სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ელემენტები და პრინციპები, რომელთა დასახელებები მოცემულია ჩამონათვალში:



- ა. შუქი;
- ბ. ჩრდილი;
- გ. მონასმი;
- დ. ჯვარედინი დამტრახვა;
- ე. დაცემული ჩრდილი;
- ვ. ათინათი (ბლიკი);
- ზ. კონტური;
- თ. რეფლექსი.

ჩამონათვალში სახვითი ხელოვნების ელემენტებისა და პრინციპების 8 დასახელებაა მოცემული. ჩამონათვალიდან 6 მითითებულია სურათზე. შეუსაბამეთ ჩამონათვალს სურათზე მითითებული ხელოვნების ელემენტებისა და პრინციპების აღმნიშვნელი რიცხვები და შესაბამისი უჯრა პასუხების ცხრილში X-ით მონიშნეთ. პასუხები გადაიტანეთ პასუხების ფურცელზე.

აღნიშვნები სურათზე დავალების №	ა	ბ	გ	დ	ე	ვ	ზ	თ
38.1								
38.2								
38.3								
38.4								
38.5								
38.6								

წერიტი დავალებების ინსტრუქცია

ყურადღებით გაეცანით დავალებებს და გაიაზრეთ ისინი.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გამწვანდება, არ გასწორდება და შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

ოთხივე წერით დავალებას თან ახლავს მითითებები. ამ მითითებებს უნდა უპასუხოთ ისე, რომ ნაშრომი აზრობრივად ერთიანი, მთლიანი გამოვიდეს და არ იყოს კითხვებზე ცალ-ცალკე გაცემული პასუხების მექანიკური ჯამი.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ, დეტალურად და დასაბუთებულად. ნაშრომი შეფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად ჩანს მასში არგუმენტირებისა (საკუთარი მოსაზრებების მაგალითებით დასაბუთების) და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი.

მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული, აზრი გასაგებად გამოხატული.

ტესტში დატოვებულია ადგილები შავი სამუშაოსათვის. ეს ნაწერი არ სწორდება. გადაიტანეთ ნაშრომი პასუხების ფურცელზე.

პასუხების ფურცელში დაშვებული შეცდომა გადახაზეთ, ფრჩხილებში ნუ ჩასვამთ და ნურც დაჯღაბნით.

დავალეზა 39 (4 ქულა). მიაკუთვნეთ წარმოდგენილი ქანდაკების ნიმუში ხელოვნების ისტორიის გარკვეულ პერიოდს. ხელოვნების ნიმუშისა და თქვენ მიერ დასახელებული პერიოდისათვის დამახასიათებელ მხატვრულ ნიშნებზე არგუმენტირებული მსჯელობით გაამყარეთ საკუთარი მოსაზრება.

შეასრულეთ წერითი დავალეზა შემდეგი მითითებების მიხედვით:

1. გაანალიზეთ წარმოდგენილი ქანდაკების მხატვრული თავისებურებები ფორმისა და მხატვრული საშუალებების მიხედვით;
2. თქვენ მიერ გაანალიზებული მხატვრული საშუალებების მიხედვით მიაკუთვნეთ ქანდაკება მხატვრულ სტილს/მიმდინარეობას;
3. განმარტეთ თქვენ მიერ დასახელებული მხატვრული სტილის/მიმდინარეობის ზოგადი თავისებურება;
4. იმსჯელეთ სტილის/მიმდინარეობისა და ქანდაკების მხატვრულ-სტილურ შესაბამისობაზე.



შავი სამუშაოსთვის

დავალება 40 (4 ქულა). საილუსტრაციო მასალაზე წარმოდგენილია სიქსტის კაპელას დასავლეთ კედელზე გამოსახული მიქელანჯელო ბუონაროტის მიერ 1535-1541 წლებში შექმნილი კომპოზიცია „საშინელი სამსჯავრო“.

დააკვირდით ილუსტრაციას და გაანალიზეთ, რომელი სახვითი ხერხები გვამღევეს საშუალებას კომპოზიცია რენესანსის ეპოქას მივაკუთვნოთ (ჩამოთვალეთ 3 სახვითი საშუალება), ხოლო რომელი სახვითი საშუალებების საფუძველზე ამჟღავნებს სურათი ბაროკოს სტილთან სიახლოვეს (ჩამოთვალეთ სულ მცირე 3 სახვითი საშუალება).




დავალეზა 41 (4 ქულა). რომელ რელიგიასთან ასოცირდება წარმოდგენილი არქიტექტურული ნაგებობა? რომელი ქვეყნის არქიტექტურის ნიმუშია წარმოდგენილი? გაანალიზეთ ნაგებობის არქიტექტურული სტრუქტურა და გაფორმების დეკორატიული სისტემა რელიგიურ თავისებურებებთან მიმართებაში და აღნიშნეთ, რომელი კულტურის გავლენა შეინიშნება მოცემულ ძეგლზე. პასუხი დაასაბუთეთ!



შავი სამუშაოსთვის

დავალება 42 (15 ქულა). გამოიყენეთ ქვემოთ მოცემული რეპროდუქციები და მითითებების 4 პუნქტი დავალების შესასრულებლად.



მარცხნივ - რემბრანტ ვან რეინი. ავტოპორტრეტი. 1661 წ.
მარჯვნივ - პაბლო პიკასო. ავტოპორტრეტი. 1907 წ.

შეადარეთ გამოსახულებები:

1. დაადგინეთ ხელოვნების ნიმუშების საერთო და განმასხვავებელი მხატვრული ნიშნები: სახვითი ხელოვნების რომელი ჟანრის ნიმუშებია წარმოდგენილი საილუსტრაციო მასალაზე? ხელოვნების რომელი დარგის ნიმუშებია წარმოდგენილი? რომელი სახვითი საშუალებები და სახვითი ხერხებია ავტორების მიერ გამოყენებული აზრისა და იდეის გამოსახატად და განწყობილების შესაქმნელად? (5 ქულა)
2. ხელოვნების თითოეული ნიმუში სტილური მახასიათებლების მიხედვით მიაკუთვნეთ ხელოვნების ისტორიის გარკვეულ მიმდინარეობას. პასუხი დაასაბუთეთ! (4 ქულა).
3. წარმოდგენილი ხელოვნების ნიმუშების მაგალითზე განმარტეთ, ახდენს თუ არა გავლენას ისტორიული და სოციალურ-კულტურული თავისებურებები ხელოვნების განვითარებაზე, რამდენადაა ეს გავლენები ასახული მოცემულ გამოსახულებებზე. თქვენი მოსაზრებები გაამყარეთ არგუმენტებით (4 ქულა).

